ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01231023647**
თარიღი: **12/04/2023**

ადრესატი: შპს გაბილისი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404541885
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზ. #1, ბინა 38

ბატონო ალექსანდრე,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში შემოსული თქვენი განცხადების (N10/0123069535-17) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047, N01.14.16.014.074 საკადასტრო კოდზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოებისთვის (N01.14.16.014.074 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებარე შენობა-ნაგებობა, რომლის არქიტექტურული პროექტიც შეთანხმდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 დეკემბრის N4792744 ბრძანებით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მოთხოვნით დაიყო ფართებად. შესაბამისად, სახეზეა ობიექტის ფუნქციური ცვლილება, რაც საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს მე-3 მუხლის ჰ[18] პუნქტის თანახმად, წარმოადგენს უნებართვო მშენებლობას), შპს „გაბილისი“ დაჯარიმდა 20 000 (ოცი ათასი) ლარით.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს მე-3 მუხლის ჰ[18] პუნქტის თანახმად ფუნქციის ცვლილებით ნაწარმოები მშენებლობა, განიხილება, როგორც უნებართვო მშენებლობა, ხოლო საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 36-ე მუხლის შესაბამისად, „თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევებისთვის.“

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი 14/047, N01.14.16.014.074 საკადასტრო კოდზე მდებარე მშენებარე ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები იყო როგორც შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, ასევე უნებართვოდ, ხოლო საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად, უნებართვოდ განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებზე დადგენილია უფრო მკაცრი საჯარიმო სანქცია, შესაბამისად, სამართალდამრღვევი, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 36-ე მუხლის გათვალისწინებით, მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 25 ივლისის N001930 დადგენილებით „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“, დაჯარიმდა 20 000 (ოცი ათასი) ლარით.

პატივისცემით,

მამუკა ჯაყელი

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია * 405026877 * ASIA-091

დოკუმენტში გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი